



**გეკანა**  
ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისის, ფალიაშვილის ქ. №27/29,  
II სართული  
ტელეფონი: (+995 32) 2 22 38 74 / 2 29 27 73  
ფაქსი: (+995 32) 2 22 38 74  
ელ-ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)

N 04 /05-119  
“12” ოქტომბერი, 2011

საქართველოს ენერგეტიკისა და  
ბუნებრივი რესურსების მინისტრს  
ბატონ ალექსანდრე ხეთაგურს

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას პოზიცია  
საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადებულ  
კანონპროექტთან „ტყის შესახებ“ დაკავშირებით

ბატონო მინისტრო,

ჩვენმა ორგანიზაციამ, ისევე როგორც არაერთი სხვა გარემოსდაცვითი ორგანიზაცია, აცნობიერებს ქვეყნის სატყეო სექტორში არსებულ საგანგაშო მდგომარეობას (ინსტიტუციური მოწყობა ძალზე სუსტია, მონიტორინგი და კონტროლი პრაქტიკულად არ არსებობს, კანონმდებლობა წინააღმდეგობრივია, სახეზეა დიდი მასშტაბის უსისტემო ჭრები, რომელსაც მდგრად გამოყენებასთან არაფერი აქვს საერთო; სატყეო სექტორი საჭიროებს დაუყოვნებლივ რეფორმირებას - პოლიტიკის, კანონმდებლობისა და ინსტიტუციურ დონეზე) და აქედან გამომდინარე, მივესალმებით თქვენი სამინისტროს გადაწყვეტილებას, განახორციელოს სექტორის ძირეული რეფორმა.

როგორც მოგახსენებთ, თქვენს მიერ რეფორმის კონცეფციის წარმოდგენისთანავე (2011 წლის 4 აგვისტოს შეხვედრა „შერატონ მეტეხი პალასში“), ჩვენმა ორგანიზაციამ სადისკუსიოდ წარმოგიდგინათ პოზიცია საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემებისა და სექტორის რეფორმირების პროცესთან დაკავშირებით. მასში მოკლედაა მოცემული ჩვენი შეხედულებები ტყეების დაცვის, საკუთრებისა და მართვის ფორმების შესახებ.

ჩვენ ვიზიარებთ თქვენს პოზიციას ტყეების მდგრადი გამოყენებისა და დაცული ტერიტორიების თაობაზე, რომელიც გულისხმობს ეკონომიკასა და ეკოლოგიას შორის ოქროს შუალედის დაცვას; ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა უნდა იყოს მეცნიერულად დასაბუთებული და მოსახლეობასთან შეთანხმებული<sup>1</sup>, ისევე როგორც სხვა ისეთი პროექტების ინიცირება, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედება იქონიონ ქვეყანაზე და მის მოსახლეობაზე (სატყეო სექტორი, ენერგეტიკა, წიაღისეულის მოპოვება და ა.შ.).

სამწუხაროდ, სამინისტროს მიერ განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს კანონის „ტყის შესახებ“ პროექტი დღეისათვის ვერ აკმაყოფილებს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას შორის ოქროს შუალედის დაცვის ამბიციას. ამასთანავე, 15 სექტემბერის განხილვის დროს ხანგრძლივი დებატები მოყვა საკითხს, რამდენად უნდა იყოს ასახული ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის, ასევე ევროკავშირის გარემოსდაცვითი დირექტივებისა და საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების მოთხოვნები წარმოდგენილ კანონპროექტში.

ქვემოთ წარმოგიდგენთ „ტყის შესახებ“ კანონის პროექტთან დაკავშირებით ჩვენს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებით ვთვლით, რომ შესაძლებელი იქნება გარემოსდაცვით და ეკონომიკურ ინტერესებს შორის ბალანსის აღდგენა.

<sup>1</sup> მწვანე ალტერნატივას კვლევითი ანგარიში „უზრუნველყოფს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებას“ (2010)  
[http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/policy%20brief%20 biodiversity\\_Geo.pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/policy%20brief%20 biodiversity_Geo.pdf)

„ტყის შესახებ“ კანონპროექტის 1-ლი მუხლის თანახმად, კანონის მიზანი არის „ტყისა და ტყის ნიადაგების დაცვა, ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფა, ნიადაგის ნაყოფიერების და მისგან გამომდინარე სარგებლის შენარჩუნების მიზნით“. მე-5 მუხლში მოცემულია ტყეების კლასიფიკაცია მათი ფუნქციის მიხედვით, რომლის თანახმადაც ტყეები დაიყოფა სამ ძირითად კატეგორიად: ა) დაცვითი ტყეები; ბ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყეები; გ) სამეურნეო ტყეები. ეს კატეგორიები განმარტებულია მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებში.

თუ შევადარებთ ამ მუხლების დებულებებს და ტყეების კლასიფიკაციას MCPFE<sup>2</sup> კლასების მიხედვით, აღმოჩნდება შემდეგი: წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, ქვეყნის მთელ ტყეებს, არსებული დაცული ტერიტორიების გარდა, უნდა მიენიჭოს MCPFE მესამე კლასი, რაც გულისხმობს ტყეების დაცვითი ფუნქციების შენარჩუნებას. კანონპროექტში მოცემული კატეგორიები, შინაარსით, სწორედ MCPFE მესამე კლასის ქვეკატეგორიებია.

**ტყეების კლასიფიკაცია MCPFE-ის კლასების მიხედვით**

MCPFE-ის კლასები		EEA	IUCN
I კლასი:	აქტიური ჩარევის გარეშე	A	I
ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია აქტიური ჩარევის გარეშე	მინიმალური ჩარევა	A	II
	კონსერვაცია აქტიური ჩარევის გზით	A	IV
კლასი 2: ლანდშაფტებისა და ბუნების კონკრეტული ელემენტების დაცვა		B	III, V, VI
კლასი 3: დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება		(B)	

საქართველოს უნიკალური ტყის ეკოსისტემებისთვის MCPFE მესამე კლასის მინიჭებით, მთლიანად უარყოფილი იქნება მათი ბიომრავალფეროვნების დირექტულა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლს, ევროკავშირის ჰაბიტატებისა და ფრინველთა დირექტივებს, ბიომრავალფეროვნების კონვენციას და კონვენციის ტყეების სამუშაო პროგრამას, MCPFE-ის გადაწყვეტილებებს, ბერნის კონვენციას და საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას (კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“). აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად და იმისათვის, რომ დაცული იქნეს „ოქროს ბალანსი“ ტყეების მართვის ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს შორის, ანუ დაცული იქნეს მდგრადი განვითარების პრინციპები; და რომ განსახილველი კანონი არ მოდიოდეს წინააღმდეგობაში საერთაშორისო კონვენციებთან და შეთანხმებებთან და ევროკავშირის დირექტივებთან, გთავაზობთ კანონპროექტში მოცემულ ზოგიერთ დებულებაში და განმარტებაში ცვლილებების შეტანას, კერძოდ:

კანონპროექტში მოცემულია:

კანონპროექტის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ტყის ტერიტორიის დაგეგმარება მოიცავს ა) სტრატეგიული ზონირებას, ბ) ტყის ტერიტორიის მართვის გეგმას და გ) წლიური სამოქმედო/საოპერაციო გეგმას. სტრატეგიულ ზონირებას ექვემდებარება საქართველოს მთელი ტერიტორია და მას ახორციელებს სახელმწიფო, ვინაიდან ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. რაც შეეხება ტყის ტერიტორიის მართვის გეგმას და წლიური სამოქმედო/საოპერაციო გეგმას, მას ადგენს მოიჯარე, მხოლოდ იჯარით აღებული ტერიტორიისათვის.

კანონპროექტიდან და 15 სექტემბრის შეხვედრაზე მინისტრისა და კონსულტანტის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებებიდან ჩანს, რომ თანამიმდევრობა იქნება შემდეგი:

1. სტრატეგიული ზონირება სახელმწიფოს მიერ;
2. ტერიტორიების იჯარით გაცემა;
3. მოიჯარის მიერ მის ტერიტორიაზე ინვენტარიზაციის ჩატარება;
4. ინვენტარიზაციის შედეგად ტყის კლასიფიკაცია მე-5 მუხლში მოცემული კატეგორიების შესაბამისად;

<sup>2</sup> MCPFE – Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe

5. ინვენტარიზაციის შედეგების დამტკიცება ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ;
6. ინვენტარიზაციის დადებითი შეფასების შემთხვევაში მოიჯარის მიერ მართვის გეგმის მომზადება
7. მართვის გეგმის დამტკიცება ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ;
8. ტყითსარგებლობის დაწყება, ყოველწლიურად სამოქმედო/საოპერაციო გეგმის წარმოდგენა, რომელსაც ამტკიცებს და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

ამასთანავე, არ არის ნათელი, თუ რა იქნება სტრატეგიული ზონირების შედეგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გათვალისწინებული პრინციპულ ცვლილებებს:

1. სტრატეგიული ზონირება სახელმწიფოს მიერ, რომლის შედეგად იქნება მთელი ქვეყნის ტერიტორიის დაყოფა MCPFE პირველ, მეორე და მესამე კლასის ტყეებად<sup>3</sup>. სტრატეგიული ზონირების განსახორციელებელ ინსტრუმენტად მიზანშეწონილად მიგვაჩნია „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების“ გამოყენება.
2. საქართველოს ტყეების ის ნაწილი, რომელიც მიკუთვნებული იქნება MCPFE მესამე კლასს, შესაძლებელია გაიცეს იჯარით ან სარგებლობის სხვა ფორმით (მაგ. შესაძლებელია ტრადიციული ფორმების აღდგენა: ვერძო, სათემო ტყე, საეკლესიო ტყეები).
3. საქართველოს ტყეების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებული იქნება MCPFE პირველ და მეორე კლასს, ანუ, მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეებს, უნდა დაუკანონდეს დაცული ტერიტორიების სტატუსი (ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) I-IV კატეგორია, ანუ ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, აღკვეთილები); კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის მიხედვით დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებამდე, ნორმატიული აქტით (პარლამენტის დადგენილებით ან პრეზიდენტის ბრძანებულებით) მიენიჭოს „სარეზერვო დაცული ტერიტორიების“ სტატუსი. აღნიშნული უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი კონვენციებისა და ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებას, ასევე ეთანხმება ევროკავშირის რეკომენდაციებს დაცული ტერიტორიების ეკოლოგიურ ქსელებთან (“ზურმუხტოვანი ქსელი”, „NATURA 2000“<sup>4</sup>) დაკავშირებით.
4. იმ შემთხვევაში, თუ MCPFE პირველ და მეორე კლასებში შემავალი ტყეების გარკვეული მცირე ნაწილი შევა საიჯარო ფართობებში, მოიჯარემ ისინი უნდა მართოს ამ კლასისათვის შესაბამისი მიზნის მიხედვით.
5. მოიჯარის მიერ მის ტერიტორიაზე ინვენტარიზაციის შედეგები და მართვის გეგმის დამტკიცება უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. ამ შემთხვევაში, ნაკლებად პრინციპული იქნება, თუ ვისი თანხებით - სახელმწიფოს თუ ინვესტორის - მოხდება ინვენტარიზაცია.

ზემოთ მოყვანილი ჩვენი რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება წარმოდგენილი კანონპროექტის კიდევ ერთი, ჩვენთვის მეტად პრინციპული ხარვეზის გამოსწორება: სამწუხაროდ, მთელს კანონპროექტში არაფერი არ არის ნათქვამი ტყეების მართვაში საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საკითხებზე. ტყეების მართვაში საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებების (მათ შორის FLEG, MCPFE, ILO), ისე ევროკავშირის სავალდებულო მოთხოვნაა.

გაუმართლებლად მიგვაჩნია ბუნებრივ ტყეებში პირწმინდა ჭრების დაშვება, ვფიქრობთ რომ ეს საკითხი დამატებით დასაბუთებას და ქართული მეტყვეობის არსებული პრაქტიკის დამატებით შესწავლას მოითხოვს.

გაუმართლებლად მიგვაჩნია მოიჯარის დავალდებულება, იზრუნოს ადგილობრივი მოსახლეობის მერქნით მომარაგებაზე. ეს არა მხოლოდ მეწარმისთვის იქნება წამგებიანი, არამედ ტყის ეკოსისტემებისთვისაც, ვინაიდან ისინი ორმაგი ექსპლუატაციის/ზეწოლის ქვეშ მოექცევიან. საბოლოო

<sup>3</sup> ტყეების ზონირების შედეგად გაიმიჯნება ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტყის ფართობები და სამეურნეო ტყის ფართობები, სადაც მერქნის მოპოვება ჯერ კიდევ დასაშვებია. ეს იქნება ტყეები, სადაც სიხშირე ოპტიმალურია და ამავე დროს არ წარმოადგენს მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ტყეს.

<sup>4</sup> Natura 2000 ეკოლოგიური ქსელის წევრობა სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისათვის.

ჯამში, ეს გამოიწვევს რესურსების სწრაფ ამოწურვას, რაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებს ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულ მოსახლეობას.

აღნიშნულ საკითხებზე პრინციპული თანხმობის შემთხვევაში, ჩვენი ორგანიზაცია მოხარული იქნება მოგაწოდოთ მუხლობრივი შენიშვნები.

წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის,

პატივისცემით,

ირაკლი მაჭარაშვილი  
ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი